

ახალი წიგნები

რეაქცია

გიორგი ნანუაშვილის ნიგნუა „აუდიტი“

ალექსანდრე სიჭინავა, პროფესორი
შოთა ვეშაპიძე, პროფესორი

უკანასკნელ პერიოდში საქართველომ მეთადრთული და საზოგადოებისათვის მეტისმეტად მტკივნეული და, შეიძლება ითქვას, შოკირებული პერიოდი გამოიარა, რაც დღესაც გრძელდება. ყოველივე აღნიშნული პერიოდი გამოიარა, რაც დღესაც გრძელდება. ყოველივე აღნიშნული შეეხო ქვეყნისარამართო პოლიტიკურ, არამედ ეკონომიკურ მხარესაც. თავიდანვე თავიდანვე ქვეყანაში არ იყო მკვეთრად გამოკვეთილი და, ვფიქრობთ, ჯერ კიდევ არაა მისი განვითარების კონკრეტული ვექტორი და პერსპექტივა. საბაზრო ეკონომიკის მიმართულების კურსის აღება თავისთავად არ ნიშნავს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების კონკრეტული გზის მითითებას. აუცილებელია მხედველობაში იქნეს მიღებული ქვეყნის თავისებურებებისა და ამ ქვეყნის საზოგადოების ყველა ფენის ინტერესების შესაბამისი მოდელის თუ სისტემის ჩამოყალიბება და მისკენ ორიენტიაციის აღება. საქართველოსთვის საარსებო მნიშვნელობა გააჩნია ქვეყნის ეკონომიკის მდგომარეობის, განვითარების სწორი მიმართულების, მისი რეალიზაციის პირობების შესახებ საფუძვლიან მეცნიერულ ცოდნას, რაც ასე სჭირდება, მოქალაქეებს, პრაქტიკოს მუშაკებს, უპირველეს ყოვლისა კი მათ ვისაც უნდა ჩავაბაროთ საქართველოს მომავალი მართვა და გაძღოლა, ესენი არიან უნივერსიტეტების სტუდენტები.

როგორც ცნობილია საქართველო დაადგა მისთვის ახალ საბაზრო ურთიერთობების პრინციპებს, რომელმაც გამოავლინა ახალი ეკონომიკური ინსტიტუტების, სამეურნეო და სამართლებრივი ურთიერთობების დამკვიდრების აუცილებლობა. მათ მომავალში უნდა მოახდინონ სამეურნეო საქმიანობის სხვადასხვა ურთიერთობების რეგულირება. მათ შორის მნიშვნელოვან და საპატიო ადგილს იკავებს აუდიტის ინსტიტუტი. სწორედ ამიტომაც მივიჩნევთ პროფესორ გიორგი ნანუაშვილის მიერ გამოცემული სახელმძღვანელო „აუდიტი“, საჭირო, დროულ და მნიშვნელოვან წიგნად. ის ხომ მართლაც ჰაერით ჭირდებოდათ არამართო სტუდენტებს, არამედ პრაქტიკოს მუშაკებსაც, მათ შორის, ხელმძღვანელ მუშაკებსაც.

სახელმძღვანელო საკმაო მოცულობისაა და 272 გვერდს მოიცავს. იგი ხუთი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილი დათმობილი აქვს აუდიტის საფუძვლებს, სადაც განხილულია თავებისა და ქვეთავების მიხედვით ყველა ის აქტუალური და საჭირო საკითხები, რაც დაკავშირებულია აუდიტის საფუძვლებთან.

კერძოდ, აუდიტის არსი, განვითარების ეტაპები, სახეები და კლასიფიკაცია, თანამედრომსახურების სახეები, ეთიკის ნორმები, ლიცენზირების საკითხები და სხვა მრავალი.

მეორე ნაწილი დათმობილი აქვს აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებს და აუდიტორული საქმიანობის ორგანიზაციას. აღნიშნულ ნაწილში ავტორს თავების მიხედვით გაშუქებული აქვს აუდიტორული საქმიანობის სტანდარტები, შემოწმების მომზადებისა და ჩატარების პროცედურები, აუდიტის დაგეგმვის საფეხურები, აუდიტორული შემოწმების მეთოდები. განსაკუთრებულად აქვს ქვეთავის სახით გამოყოფილი თაღლითობისა და შეცდომების მომენტები.

მესამე ნაწილში პროფ. გიორგი ნანუაშვილი ეხება საერთო დოკუმენტებისა და დამფუძნებლებთან ანგარიშსწორების აუდიტს, რაც მნიშვნელოვან მომენტად და სახელმძღვანელოს ღირსებადაც მიგვაჩნია. ამ ნაწილში კი განსაკუთრებულად გამოყოფილი ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩატარების მეთოდოკას.

მეოთხე ნაწილი ეხება საერთო აუდიტის საკითხებს. აქ ავტორი ეხება, როგორც გრძელვადიანი ისე მოკლევადიანი აქტივების, ცვეთის დარიცხვის, გაყიდვის თუ სხვათა შესაბამისად, რაც არც ერთ სახელმძღვანელოში, რომლებიც კი აქამდე იყო გამოცემული არ შეგვინიშნავს.

მეხუთე ნაწილში ავტორმა გვერდი ვერ აუარა ისეთ საკითხებს, როგორიცაა აუდიტის ჩატარების მეთოდოკა და მიდგომები მცირე და საშუალო ბიზნესის საწარმოებში, რაც ვფიქრობთ სახელმძღვანელოს უფრო მიმზიდველსა და უფრო მეტად გამოსაყენებელს ხდის საზოგადოების ფართე წრეებისთვის.

ბოლოს გვინდა სახელმძღვანელოს ავტორს გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს გიორგი ნანუაშვილს ვუსურვოთ შემდგომი წარმატებები შემოქმედებით მეცნიერულ საქმიანობაში და მადლობა გადაუხადოთ ასეთი კარგი და საფუძვლიანი სახელმძღვანელოს გამოცემისთვის.